

**სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და
გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD“-ის
სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (შემდგომში-DAAD) ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის (შემდგომში-პროგრამის) საგრანტო კონკურსის პირობები (შემდგომში - პირობები) არეგულირებს ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის (შემდგომში-საგრანტო კონკურსი) გამართვის წესს, საგრანტო პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის საკითხებს.
2. საგრანტო კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს:
 - ა) სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში;
 - ბ) საუკეთესო სამეცნიერო პრაქტიკის გაზიარებითა და საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების გზით გერმანულ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო ქსელის შექმნაში;
 - გ) თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში.
3. საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი და DAAD ერთობლივად.
4. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს:
 - ა) ახალგაზრდა მეცნიერების გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
 - ბ) დოქტორანტების გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
 - გ) ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
5. საგრანტო კონკურსი მოიცავს DAAD-ის კლასიფიკატორის შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:
 - ა) ენები და კულტურის კვლევები;
 - ბ) სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები;
 - გ) მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
 - დ) მედიცინა;
 - ე) ვეტერინარული მედიცინა, მეტყვეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები;
 - ვ) ინჟინერია;
 - ზ) ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები;

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. პროექტის განმცხადებელი უნდა იყოს:
 - ა) ახალგაზრდა მეცნიერი - საქართველოს მოქალაქე, რომლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 12 წლისა;

ბ) დოქტორანტი - საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე

გ) ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი - საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე და რომელსაც დისერტაციის ადგილობრივ ხელმძღვანელთან ერთად, სამეცნიერო თანახელმძღვანელობას უწევს გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო/აკადემიური პერსონალი;

2. პროექტის ხანგრძლივობაა:

ა) ახალგაზრდა მეცნიერების მიერ წარდგენილი პროექტებისათვის - არანაკლებ 2 თვისა და არაუმეტეს 6 თვისა;

ბ) დოქტორანტების მიერ წარდგენილი პროექტებისათვის - 3 თვე;

გ) ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების მიერ წარდგენილი პროექტებისათვის - 6 თვე;

3. პროექტი ითვალისწინებს:

ა) ახალგაზრდა მეცნიერთა - არაუმეტეს 15 პროექტის დაფინანსებას;

ბ) დოქტორანტების - არაუმეტეს 9 პროექტის დაფინანსებას;

გ) ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების - არაუმეტეს 6 პროექტის დაფინანსებას;

4. კომისიის რეკომენდაციითა და ფონდისა და DAAD-ის ერთობლივი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის ცვლილება.

5. კვლევითი სტაჟირება უნდა განხორციელდეს **2023 წლის 1 ივნისიდან - 30 ნოემბრის პერიოდში.**

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. გრანტის ფარგლებში მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს:

ა) ყოველთვიურ სტიპენდიას;

1) ახალგაზრდა მეცნიერისთვის - 2000 ევროს ექვივალენტი ლარში;

2) ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტისთვის - 1200 ევროს ექვივალენტი ლარში;

3) დოქტორანტისთვის - 1200 ევროს ექვივალენტი ლარში;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერის, დოქტორანტისა და ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის მგზავრობის ხარჯებს - არაუმეტეს 675 ევროს ექვივალენტისა ლარში;

გ) დოქტორანტისა და ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის დაზღვევის ხარჯებს - ყოველთვიურად არაუმეტეს 77 ევროს ექვივალენტისა ლარში;

დ) ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მგზავრობის ხარჯებს - ჯამში არაუმეტეს 1500 ევროს ექვივალენტისა ლარში.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისაგან: DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში ასატვირთი დოკუმენტებისგან და ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი დოკუმენტებისგან.

2. DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში ასატვირთი დოკუმენტების ნუსხა (DAAD - ის მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად):

2.1 ახალგაზრდა მეცნიერთათვის:

ა) საკონკურსო განაცხადის ფორმა (ივსება [DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში](#));

ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდისა);

გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდისა);

დ) დეტალურად გაწერილი კვლევითი პროექტი (არაუმეტეს 4 გვერდისა);

ე) ჩასატარებელი კვლევის ადგილისა და დროის გეგმა (გეგმა-გრაფიკი);

ვ) დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) მასპინძელი მხარის მოწვევის წერილი, რომელიც გამოხატავს თანხმობას, სტიპენდიის მიღების შემთხვევაში ითანამშრომლოს სტიპენდიანტთან. წერილში მითითებული უნდა იყოს, რომ უნივერსიტეტი/კვლევით დაწესებულებაში სტიპენდიანტისთვის გამოყოფილი იქნება სამუშაო კუთხე.

ზემოთჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი იტვირთება [DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში](#), PDF-ფორმატში, **არაუგვიანეს 5 აპრილი (23.00 სთ.)**.

2.2 დოქტორანტებისთვის:

ა) საკონკურსო განაცხადის ფორმა (ივსება [DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში](#));

ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდისა);

გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდისა);

დ) დეტალურად გაწერილი კვლევითი პროექტი (არაუმეტეს 4 გვერდისა);

ე) ჩასატარებელი კვლევის ადგილისა და დროის გეგმა (გეგმა-გრაფიკი);

ვ) ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით (**წიშნების ფურცელი უნდა მოიცავდეს ქულათა განმარტებას**);

ზ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, აკადემიური მოსწრების მითითებით (**წიშნების ფურცელი უნდა მოიცავდეს ქულათა განმარტებას**);

თ) მასპინძელი მხარის თანხმობის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ სტიპენდიის მიღების შემთხვევაში უხელმძღვანელებს დოქტორანტს. წერილში მითითებული უნდა იყოს, რომ უნივერსიტეტი/კვლევით დაწესებულებაში სტიპენდიანტისთვის გამოყოფილი იქნება სამუშაო კუთხე.

ზემოთჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი იტვირთება [DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში](#), PDF-ფორმატში, **არაუგვიანეს 5 აპრილი (23.00 სთ.)**.

2.3 ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისათვის:

ა) სააპლიკაციო ფორმა (ივსება [DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში](#));

ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდისა);

გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდისა);

დ) დეტალურად გაწერილი კვლევითი პროექტი, ხელმოწერილი ხელმძღვანელების მიერ საქართველოსა და გერმანიის მხრიდან (არაუმეტეს 4 გვერდისა);

ე) ჩასატარებელი კვლევის ადგილისა და დროის გეგმა (გეგმა-გრაფიკი), ხელმოწერილი ხელმძღვანელების მიერ საქართველოსა და გერმანიის მხრიდან;

ვ) ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით;

ზ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, აკადემიური მოსწრების მითითებით (**ნიშნების ფურცელი უნდა მოიცავდეს ქულათა განმარტებას**);

თ) ხელმძღვანელის თანხმობის წერილი გერმანიის მხრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ სტიპენდიის მიღების შემთხვევაში უხელმძღვანელებს დოქტორანტს. წერილში მითითებული უნდა იყოს, რომ უნივერსიტეტში/კვლევით დაწესებულებაში სტიპენდიანტისთვის გამოყოფილი იქნება სამუშაო კუთხე.

ზემოთჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი იტვირთება [DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში](#), PDF ფორმატში, **არაუგვიანეს 5 აპრილი (23.00 სთ.)**.

3. დოქტორანტებისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისთვის, ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტების გარდა, სავალდებულოა, DAAD-ის საქართველოს რეგიონულ ოფისში წარმოადგინონ კონკურტში მოთავსებული სარეკომენდაციო წერილი (1 ეგზემპლარი), გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის ან მოწვეული ლექტორის მიერ. სარეკომენდაციო წერილის ფორმა უნდა ჩამოიტვირთოს DAAD-ის ელექტრონული ბაზიდან.
4. ქართულ ენაზე გაცემული დოკუმენტები უნდა ითარგმნოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე და დამოწმდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ.
5. ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი დოკუმენტები კონკურსში მონაწილე სუბიექტებისთვის:
 - ა) კვლევითი პროექტი ქართულ ენაზე;
 - ბ) პროექტის ბიუჯეტი ქართულ ენაზე (დანართი 2);
 - გ) განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 3).

მუხლი 5 - კონკურსის ეტაპები;

საგრანტო კონკურსის ეტაპებია:

- ა) ფონდის მიერ ერთობლივი კონკურსის გამოცხადება DAAD-თან შეთანხმებით;
- ბ) საკონკურსო განაცხადების წარდგენა DAAD-ში;
- გ) კონკურსის პირობების მე - 4 მუხლის მე - 4 პუნქტით დადგენილი დოკუმენტების ფონდში წარდგენა;
- დ) ფონდში წარმოდგენილი დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა;
- ე) DAAD-ის მიერ შედგენილი კომისიის მიერ პროექტის შეფასება;
- ვ) ფონდისა და DAAD-ის მიერ გამარჯვებული პროექტების ერთობლივად გამოვლენა;
- ზ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 6. კონკურსზე განაცხადების რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისთვის მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვა ხორციელდება [DAAD-ის ელექტრონულ ბაზაში](#) **არაუგვიანეს 5 აპრილი (23.00 სთ.)**.
2. ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების, კვლევითი პროექტისა და პროექტის ქართული ბიუჯეტის წარდგენა უნდა მოხდეს **2023 წლის 6 აპრილის 16:00 საათის ჩათვლით**;
3. ფონდის კანცელარიაში წარსადგენი განცხადება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერით/ხელმოწერებით.
4. კონკურსის პირობებით დადგენილი ვადის დარღვევის, ან მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროექტები არ განიხილება.

5. ფონდი და DAAD უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც შეიცავს არასრულ ან ყალბ ინფორმაციას.
6. ფონდი და DAAD არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

პროექტების შეფასება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N 62/ნ ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანში გრანტის მიმღებს DAAD-ს მიერ გადაერიცხება ავანსის სახით. გრანტის მიმღების მიერ, შესაბამისი ანგარიშის DAAD-ისთვის წარდგენის საფუძველზე ხორციელდება დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი, რომელიც მოიცავს პროექტის ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, გრანტის მიმღებისთვის გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
3. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
4. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას DAAD ეყრდნობა გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემულ წერილობით ინფორმაციას გრანტის მიმღების მიერ გავლილი სტაჟირების შესახებ. გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ინსტიტუტის წერილში მითითებული უნდა იყოს სტაჟირების დაწყებისა და დასრულების თარიღები. იმ შემთხვევაში, თუ სტაჟირების ფაქტიური პერიოდი შეადგენს არასრულ თვეს, DAAD უფლებამოსილია ზემოაღნიშნული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები განიხილოს შესრულებულად.
5. ანგარიშების განხილვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, DAAD ვალდებულია, ფონდს მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული ხარჯებისა და შესრულებული აქტივობების შესახებ ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.
6. DAAD-ის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
 - ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება შესაბამის ხარჯვით კატეგორიას;
 - ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება გრანტის გამცემთა მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას;
 - გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება გრანტის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას.
7. გრანტის მიმღები ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს კონკურსის შემაჯამებელ წლიურ საპოსტერო კონფერენციაში და წარმოადგინოს მოხსენება სტაჟირების პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

მუხლი 8. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N 62/ნ ბრძანების მე-12 მუხლის შესაბამისად.